



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №06

2012 წლის 17 იანვარი
ქ.ქობულეთი

ბუნებრივი აირით საცხოვრებელი სახლების გაზმომარაგებისათვის გაზსადენების (ხაზობრივი ნაგებობების)

მშენებლობაზე შ.პ.ს. „აჭარის ბუნებრივი აირი“-სათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“

საქართველოს მთავრობის 2009 წლის №57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა შ.პ.ს. „აჭარის ბუნებრივი აირი“-ს თანდართული სკემების შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივი აირის მიწისქვეშა დაბალი წნევის ქსელის მილსადენიდან ცალკეული განშტოებებით საცხოვრებელი სახლების გაზმომარაგებისათვის გაზსადენების (ხაზობრივი ნაგებობების) მშენებლობაზე.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე. ბაგრატიონი).

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №-30).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნ. ბერაძე

